პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 278 (18820) შაბათი, 3 დეკემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

## კომუნისტი ითხოვს სიტყვას

ეს ამბავია?! მოხსენება, დაიწყო კამათი. კომუნისტი ითხოვს სიტყვას, ადის ტრიბუნაზე... და სწორედ ამ ფაქტით თვალსაჩინოდ ვლინდება ჩვენი პარტიული დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი: თითოეულს შეუძლია გამოთქვას აზრი იმ თემაზე და იმ საკითხზე, რომელიც მას აწუხებს, სურს და რომელსაც მნიშვნელობა აქვს მთელი შრომითი კოლექტივისათვის, რაიონის ან ქალაქისათვის, მათი პარტიული ორგანიზაციებისათვის.

„სიტყვაც საქმეა" — ეს ლენინური ფორმულა სწორედ იმას გულისხმობს, რომ კარგად გაზომილ-აწონილი სიტყვა, არსებული ვითარების ობიექტური შეფასება და განსჯა ეხმარება პარტიულ ორგანიზაციას შეიმუშაოს სწორი დადგენილება — მოქმედების ნათელი სახელმძღვანელო.

ამ ჭეშმარიტებაში ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ფაქტობრივად უკვე დამთავრებული საანგარიშო-საარჩევნო კრებების და დღემდე გამართული საქალაქო და რაიონული პარტიული კონფერენციების შედეგებით. საგულისხმოა ასეთი ციფრები: რესპუბლიკაში საანგარიშო-საარჩევნო კრებებს დაესწრო კომუნისტთა მთელი რაოდენობის 98 პროცენტზე მეტი, ხოლო სიტყვა წარმოთქვა 39 პროცენტმა.

ეს პატარა სტატისტიკა შესანიშნავი ნათელყოფაა იმისა, თუ რაოდენ გაიზარდა პარტიის წევრთა აქტიურობა უკანასკნელ წლებში, თუ რა დაინტერესებით, პასუხისმგებლობით მიუდგნენ წლის მთავარი კრებების ჩატარებას რესპუბლიკის პარტორგანიზაციებში.

დიახ, კომუნისტი ითხოვს სიტყვას და ამ ფაქტით ვლინდება მისი აქტიური პოზიციაც, მისი დაინტერესება თავისი ორგანიზაციის საქმეებით. ადვილი გასაგებია, მაგალითად, თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას" მმართველ-გამომთვლელი მანქანების ქარხნის ელექტრომემონტაჟის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნ. შუღლიაშვილის წუხილი იმის გამო, რომ ყველა კომუნისტი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებს ერთიანი განრიგით მომუშავე ბრიგადების ჩამოყალიბების მნიშვნელობას. მართალია, — თქვა მან პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, — ჩვენს ელექტროსამონტაჟო საამქროში ამ პროგრესულ მეთოდზე გადავიდა ხუთი ბრიგადა, მაგრამ იგი უფრო ფართოდ და გაბედულად უნდა დავნერგოთ. მოწინავე მუშის წინადადება ერთსულოვნად შეტანეს კრების დადგენილებაში, რომლის პრაქტიკულ განხორციელებასაც უკვე შეუდგნენ.

სახოფლო-სამეურნეო წარმოებაში დაგეგმვის სერიოზულ ნაკლოვანებებზე ილაპარაკეს ზნაურის რაიონის ავნევის კოლმეურნეობის კომუნისტებმა.

— პირდაპირ სამარცხვინოა სიმინდის მოყვანის ის გეგმა, რომელიც რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებამ მოგვცა, — აღშფოთებით განაცხადა პარტიულ კრებაზე გამოსვლისას ვეტერანმა კოლმეურნემ რ. სიქტურაშვილმა, — 15 ცენტნერი ჰექტარზე? აბა, ეს რა საბრძოლო ამოცანაა?!

ვინ ჩამოთვალის პარტიულ კრებებსა და კონფერენციებზე იმ ასობით, ათასობით საქმიან და ჭეშმარიტად პარტიულ გამოსვლებს, რომლებშიც გამოთქმული პრაქტიკული წინადადებანი შემდეგში სხვა კომუნისტების კუთვნილებაც გახდა, საქმის, ვითარების გაუმჯობესება მოჰყვა.

დღეს კომუნისტები დაბეჯითებით ეძებენ წარმოების ეფექტიანობისა და იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების გზებს, აქტიურებენ ბრძოლას უყაირათობის, ფორმალიზმის და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. მათი სჯა-ბაასის ცენტრშია ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობისა და ადამიანთა აღზრდის, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, მინდობილი უბნებისათვის კადრების პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხები, ყველა ის სადღეისო ამოცანა, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ნოემბრისა და მიმდინარე წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან.

რა თქმა უნდა, საკამათოდ, სამსჯელოდ ყველა კომუნისტი, ყველა დელეგატი უნდა ემზადებოდეს, კრებისა თუ კონფერენციის შემდეგ გული არავის უნდა ეთანაღრებოდეს, რომ რაღაც დარჩა უთქმელი. ამას კი ბევრად განსაზღვრავს კრებებსა და კონფერენციებზე შექმნილი ვითარება, განსაკუთრებით საანგარიშო მოხსენების ტონი, მიმართულება, კრიტიკისა და თვითკრიტიკის დონე.

სწორედ ასეთი ვითარება იყო შექმნილი ზესტაფონის ფეროშენაგნობთა ქარხნის, დუშეთის რაიონის ფასანაურის კოლმეურნეობის, ყიზლარის ზამთრის საძოვრების და მთელ რიგ სხვა პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც საანგარიშო-საარჩევნო კრებები გამოირჩეოდა განსაკუთრებული საქმიანობით, სადაც მისმა მონაწილეებმა ბევრი პრობლემა და მათი კონკრეტული გადაწყვეტის გზები წარმოაჩინეს.

კომუნისტთა აქტიურობა კარგად გამოჩნდა დღემდე გამართულ საქალაქო და რაიონულ პარტიულ კონფერენციებზეც. იმის გამო, რომ კამათის დროს განიდევნა ფუჭსიტყვაობა, გამოიჩინა აზრის გამოთქმის საინტერესო ფორმები, ანლა სიტყვას ამბობს 25-30 და ზოგან უფრო მეტი დელეგატი. ასე იყო თელავის, სამტრედიის, აბაშის და სხვა რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე.

ბევრ აქტიურად, ინიციატივიანად მოიმუშავე პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ გამოავლინა სუსტებიც, ნაკლოვანებანიც. დამაფიქრებელია, რომ 25 პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა. მაგრამ აქვე ის დადებითი ტენდენციაც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შეფასება კომუნისტთა პრინციპულობის, ნაკლოვანებებთან შეურიგებლობის, თავიანთი არჩევითი ორგანოებისადმი მკაცრი მომთხოვნელობის შედეგია.

როგორც ხშირად ვამბობთ ხოლმე, კრიტიკისა და თვითკრიტიკის დონე ამა თუ იმ ორგანიზაციაში კომუნისტთა სიმწიფის მაჩვენებელია. მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ყველგან ვერ დაიკვეხნიან. აი, თუნდაც, საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" საფლოტაციო ფაბრიკის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების შესახებ ვთქვათ. აქ, ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო: მოხსენების შემდეგ გაჩაღდა კამათი, ითქვა ბევრ საჭირბოროტო საკითხზე, მაგრამ მთავარი პრობლემები დაავიწყდათ. მაგალითად, ლაბორატორიის გამგე, პროპაგანდისტმა ი. გოგსაძემ ვერ გაბედა ემხილებინა გულგრილობის, მასალების უყაირათოდ ხარჯვის ფაქტები, სამაგიეროდ ყველა ნაკლი მომარაგების შეფერხებებს გადააბრალა. ამასთან მას ერთი ნიუანსიც არ დასცდენია თავის პროპაგანდისტულ საქმიანობაზე, იმ მუშაობაზე, რომელიც პარტორგანიზაციაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით უნდა გასწიონ. ასევე მოიქცნენ ამ კრებაზე აგიტატორი ტ. ჭანკვეტაძე და სხვები, რომლებიც უშუალოდ აგებენ პასუხს იდეოლოგიური მუშაობის ნორმრთვისათვის. თვითონ საანგარიშო მოხსენებაც, რომლითაც პარტიულ მდივანი მ. ცერცვაძე გამოვიდა, უმთავრესად ზოგადი იყო, არ ჩანდა მასში კრიტიკის ზუსტი მისამართი.

საჭირბოროტო, მწვავე პრობლემებზე კონკრეტულ სჯა-ბაასს ვვერი აუარეს ბორჯომის „კურორტრემმშენის" სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს პარტიულ კრებაზეც, სადაც სათანადოდ ვერ გააანალიზეს მდივნის, სხვა პარტიული აქტივისტების საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობა.

საერთოდ, ზოგ კრებასა და კონფერენციაზე კამათის მონაწილენი რატომღაც ივიწყებენ თავიანთი არჩევითი ორგანოების მუშაობის შეფასებას. არადა, ეს არის მთავარი, სწორედ მათი მოღვაწეობის ფონზე უნდა განხილონ ეკონომიკასა და აღმშრდელობითს საქმიანობაში მიღწეული თუ გაუკეთებელი.

არავითარი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ კრებაზე კომუნისტის გამოსვლის შედეგი პირდაპირ დამოკიდებულია ზემდგომი პარტიული და სხვადასხვა სამეურნეო ორგანოების მხრივ ყურადღებასა და მხარდაჭერაზე. აი, წლეულსაც იგივე პრობლემებზე მოუხდათ ლაპარაკი აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომლებზეც შარშან და შარშანწინაც იკამათეს, თუმცა ბევრი მათგანის მოგვარება სულაც არ იყო ძნელი.

კომუნისტთა შენიშვნებისა და წინადადებებისადმი ყურადღებიანი დამოკიდებულების, მათი განხორციელებისათვის მუშაობის მეტად კარგი გამოცდილება აქვთ პარტიის თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის საქალაქო, მახარაძის, სამტრედიის რაიონულ და სხვა მთელ რიგ პარტიულ კომიტეტებს, რომლებიც დროულად აღრიცხავენ ამ შენიშვნებს, ანალიზებენ და რეალიზაციასაც მკაცრ, საჯაროს კონტროლს უწესებენ.

კომუნისტის სიტყვისადმი ასეთი გულისხმიერება უფრო აქტიურებს ჩვენს პარტიულ ძალებს, ხელს უწყობს იმას, რომ მალე აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი, ჩაენერგოს ყოველ ჩვენგანს პასუხისმგებლობისა და გულდაჯერების გრძნობა.

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მორიგ სხდომაზე განიხილა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთელი რიგი საკითხები.

განიხილეს და მოიწონეს პოლიტბიუროს გადაწყვეტილების შესაბამისად მომზადებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს წინადადებანი სამრეწველო საწარმოებსა და გაერთიანებებში შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის განვითარების შესახებ. ამ მიზნით დასახულია შეიტანონ საჭირო კორექტივები წარმოების დაგეგმვის, აღრიცხვისა და ორგანიზაციის სისტემაში, მოაგვარონ მუშებისათვის მეორე და მომიჯნავე პროფესიების სწავლება, გაიუმჯობესონ მუშაობა ბრიგადების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი რეზერვის მომზადებისათვის. გათვალისწინებულია ისეთი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს ბრიგადების საბჭოების და ბრიგადირთა საბჭოების როლის გაძლიერებას, ბრიგადების მოვალეობის შემსრულებელი მუშების, აგრეთვე ბრიგადების სტაბილური და ეფექტიანი მუშაობის ორგანიზაციასთან. დაკავშირებული საწარმოო უბნების ოსტატებისა და ინჟინრების შრომის მატერიალურ სტიმულირებას. განსაზღვრულია საწარმოთა ხელმძღვანელებისა და პროფკავშირული კომიტეტების ამოცანები შრომითი კოლექტივების მუშაობის მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად ბრიგადებში შეჯიბრების განვითარების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვის, თითოეული მუშაკის შემოქმედებითი უნარის გამოვლენის დარგში.

ამ საკითხზე მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება პრესაში.

პოლიტბიუროს სხდომაზე განსაზღვრეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და სამამულო ომის ინვალიდებისა და ზოგიერთი სხვა კატეგორიის მოქალაქეებისათვის ამ გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებით მინიჭებული შეღავათების გაფართოების შესახებ კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიმართულებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოიწონა სსრ კავშირის საპაერო კოდექსის დებულებათა რეალიზაციასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ შემუშავებული ღონისძიებანი სსრ კავშირის საპაერო მიმოსვლის მართვის ერთიანი სისტემის შესაქმნელად.

პოლიტბიუროს სხდომის დღის წესრიგში არსებითი ადგილი დაიკავა ისეთმა საკითხებმა, როგორიცაა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის თანამიმდევრული გაღრმავება, მათი გეგმების კოორდინაცია, კავშირისა და ინფორმაციის გაცვლის სისტემის განვითარება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოისმინა და მოიწონა ინფორმაციები იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო ოფშასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილესთან ბ. სრეზბრიჩთან ნ. ა. ტიხონოვის, ფ. კადუმის მეთაურობით პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის დელეგაციასთან ა. ა. გრომიკოს, ცნობილ ამერიკელ ბიზნესმენთან და საზოგადო მოღვაწესთან ჯ. კრისტალთან მ. ს. გორბაჩოვის და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ მ. კოივისტოსთან ვ. ვ. კუზნეცოვის შეხვედრებისა და საუბრების შესახებ.

## კვლავ აღიმართება ქალაქის თავზე „დედაციხე"

მრბავალი საუკუნის მანძილზე თბილისის აღმერეოლობებში უცილობლად იხსენიებდნენ ხოლმე ნარიყალას ნანგრევებს. ქალაქის თანატოლი ციხე მისი დიდად ძნელი ბედის სიმბოლო გახდა. ახლა აქ არქეოლოგები, რესტავრატორები, არქიტექტორები მუშაობენ. უკვე უახლოეს ხუთ წელიწადში კვლავ აღიმართება ქალაქის თავზე ძველი ციხის გალავნები და ბურჯები. იგი ქალაქის ისტორიულ-ძეგლოლოგიური ნაკრძალი გახდება.

1 დეკემბერს ძველი თბილისის ციხის რესტავრაციის მიმდინარეობას გაეცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. მასთან ერთად იყვნენ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. დ. გაბუნია და საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ე. სარალიძე.

ძველი თბილისის სილუეტს, მის განუმეორებელ არქიტექტურულ იერსახეს ძირითადად განსაზღვრავდა ბორცვებზე განლაგებული ციხეები და გუმბათიანი ეკლესიები. სამწუხაროდ, ისტორიაში ცნობილი თაბორისა და მეტეხის ციხეები დაინგრა. ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი თავდაცვითი ნაგებობაა ნარიყალა.

ნარიყალას ისტორია არსებითად ქალაქის ისტორიაა. სწორედ მის ძირას იყო დაარსებული თბილისი, რომლის მთავარი დამცველი უცხოელი დამპყრობლებისაგან იგი ჯერ კიდევ IV საუკუნეში გახდა. შემთხვევითი როდია, რომ მემატიანეები მას „დედაციხეს" უწოდებენ.

ეს არის ისტორიის, არქიტექტურის, ხალხის ძველი კულტურის ძეგლი. არის ცნობები, რომ ციხის ერთ-ერთი ბურჯი — „შაჰისტახტი" თავდაცვითი ფუნქციების გარდა IX საუკუნიდან მოყოლებული ობსერვატორიის როლსაც ასრულებდა. ციხეს წყალთ ამარაგებდა არხებისა და აკვედუკების სისტემა. თანაც წყალი აქ ხუთი კილომეტრიდან — ოქროყანის მიდამოებიდან მოდიოდა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნარიყალას ტერიტორიაზე მიწის ხუთმეტრიანი ფენის ქვეშ აღმოაჩინეს ოდესღაც დიდი ტაძრის ნაშთები. იგი აგებულია XIII საუკუნეში ისევე, როგორც მეტეხის ტაძარი. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ორივე ტაძარი ერთი სტილით იყო აშენებული და ერთიან არქიტექტურულ ანსამბლს ქმნიდა მტკვრის ორივე ნაპირზე. გრძელდება მეფის სასახლის ქიმა. ცნობილია, რომ როსტომ მეფემ მხოლოდ XVII საუკუნის 40-იან წლებში დატოვა ციხე და გადასახლდა ახალ რეზიდენციაში, რომელიც ახლანდელ ერეკლე მეორის მოედანზე მდებარეობდა.

— რამდენიმე წლის მანძილზე ვაგროვებდით იკონოგრაფიულ მასალას ნარიყალას შესახებ, — თქვა ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა შოთა ყავლაშვილმა. — ცნობილია სადღეისოდ ყველაზე ძველი გეგმა, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონმა შეადგინა. მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში მივაგენით ციხის პირველ ტოპოგრაფიულ გეგმას, რომელიც 1800 წლით არის დათარიღებული. დიდად საინტერესო გამოდგა XVII-XVIII საუკუნეების ფრანგი ოსტატების — მხატვარ შარდენისა და ბოტანიკოს ტურნეფორის ძველებური გრავიურები, აგრეთვე ერმაკოვისა და როინიშვილის მიერ შესრულებული გასული საუკუნის ფოტოსურათები. სწორედ ამ მასალების საფუძველზე შეეძლებოდა ციხის რესტავრაციის პროექტი.

პროექტის ავტორია ტარიელ კიპაროიძე — ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს არქიტექტორი. სამმართველოს სპეციალისტებმა შეარჩიეს ნაგებობის დუღაბის რთული შედგენილობა.

ტერიტორიის გასაწმენდად და ციხის გალავანთან საშენი მასალების მისაწოდებლად მის ძირში აშენებულია ორიგინალური სამაგირო მონორელსიანი გზა. იგი შეიმუშავეს და დაამზადეს საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის სპეციალისტებმა. სამუშაოებში დიდი მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე „ინკომშენის" ტრესტის მშენებლებმა.

ნარიყალას რესტავრაციაში ჩაბმული ბევრი ორგანიზაციის წარმომადგენლები ისტორიკოს მეცნიერებთან, არქეოლოგებთან, ეთნოგრაფიულებთან ერთად გაეცნენ სამუშაოების მიმდინარეობის და განიხილეს ციხის აღდგენის, მისი მიმდებარე საცხოვრებელი უბნების გარდაქმნისა და კეთილმოწყობის პერსპექტივები.

ამ რაიონის რეგენერაციის ვრცელი პროგრამის პირველი რიგი 1986 წლამდეა გათვალისწინებული. (საქინფორმი).

## ქვეყნად სიცოცხლისათვის

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადება საქართველოს მშრომელთა ყურადღების ცენტრშია. ისევე, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ისინი აღშფოთებით აცხადებენ პროტესტს ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაციისა და ნატოს ბლოკის ავანტიურისტული მილიტარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ, მოუწოდებენ მათ შეიხმინონ გონების ხმა, უარი თქვან სამხედრო უპირატესობის მიღწევის აუხდენელ გეგმებზე. მხურვალე მხარდაჭერასა და ერთსულოვან მოწონებას იმსახურებს საბჭოთა სახელმწიფოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მშვიდობის შენარჩუნება, გამალებული შეიარაღების ალაგმვა, ბირთვული ომის საფრთხის აღკვეთა.

### მშვიდობისათვის ზრომით ვიბრძოლეგთ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ერთადერთი მიზანი მშრომელი კაცის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის ზრუნვა გახლავთ. ამაში ჩვენ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი ხნის მანძილზე ვრწმუნდებით, ამის დასტური გახლავთ ახლახან პრესაში გამოქვეყნებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადება.

მართლაც რა დიდ შრომასა და ენერგიას ახმარს ჩვენი პარტია და სახელმწიფოს ხელმძღვანელი დედამიწის ზურგზე მშვიდობის შენარჩუნებას, დამღუღველი ომისაგან კაცობრიობის ხსნას. მთელი სულითა და გულით ვუჭერთ მხარს ამხ. ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას და პირობას ვიძლევით თავდადებით ვიბრძოლოთ მშვიდობის შესანარჩუნებლად.

მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა ხომ სახელმწიფოს ეკონომიკისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას ნიშნავს. ჰოდა, თავდადებით, გაორკეცებული ენერგიით ვიშრომებთ საშობლოს საკეთილდღეოდ.

**ს. კონტრიძე,**
**თბილისის კერამიკის კომბინატის სამხატვრო საამქროს მუშა, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატი.**

### ბონების მტკიცე ხმა

იმ 14-სართულიანი შენობის სამშენებლო მოედნიდან, რომელსაც აფხაზეთის დედაქალაქის ცენტრში ვაგებთ, ხელისგულივით მოჩანს შავი ზღვის პირას გადაჭიმული მზიური ქალაქის პანორამა. მაგრამ დღეს გული საგულეს არა გვაქვს. ოკეანისგაღმელი ომის მოტრფიალენი კვლავ აყღარუნებენ იარაღს და კვლავ გვიმუქრება იქიდან ომის საფრთხე. მაგრამ ჩვენ ვერავინ დაგვაშინებს.

დროული გადაწყვეტილება მიიღეს ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ. ნატოს ქვეყნების უგუნური მოქმედების პასუხად, რომლებმაც დაიწყეს დასავლეთ ევროპაში საშუალო სიშორის ამერიკული რაკეტების განლაგება, მოგვიხდა ' განგვეხორციელებინა ღონისძიებანი ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა შორის დაახლოებითი ბირთვული წონასწორობის აღსადგენად

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაში პირდაპირ და არაორაზროვნად არის ნათქვამი, რომ ჩვენ უფლებას არ მივცემთ შეერთებულ შტატებს უკარნახოს თავისი ნება სხვა ხალხებსა და სახელმწიფოებს.

ჩვენ, მუშები, ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს ამ სიტყვებს.

**ვ. ქეცბა,**
**საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი.**

### ვინც ქარს დათესავს, ქარიშხალს მოიმკის

დიდი ყურადღებით გავეცანთ ჩვენ, ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები და მეონტაჟეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას. ამერიკის ახლანდელი ადმინისტრაციის მილიტარისტულ კურსს, რომელიც მსოფლიოს უბედავს ბირთვული კატასტროფისაკენ, მის მიერ პლანეტის ხალხების მშვიდობისმოყვარული მისწრაფებებს, ცინიკურ უგულებელყოფას ჩვენ, ისევე როგორც ყველა კეთილი ნების ადამიანი, გადაჭრით ვგმობთ.

საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომელთა შესახებაც დაწვრილებით არის ნათქვამი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის განცხადებაში, სავსებით სწორი და სამართლიანია, მიზნად ისახავს სსრ კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების უშიშროების უზრუნველყოფას.

ჩვენ ავაგეთ ენგურის ჰიდროელექტროსადგური, ახლა ვაშენებთ ხუდონისას. ვაშენებთ ელექტროსადგურებს, რომლებსაც სინათლე მოაქვთ ადამიანებისათვის და ემსახურებიან მშვიდობიან მიზნებს. მაგრამ თუ ვინმემ სცადა დაარღვიოს ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება და მშვიდობიანი შრომა, ვერ გადაურჩება საბჭოთა ხალხის რისხვას. „ვინც ქარს დათესავს, ქარიშხალს მოიმკის". ჩვენ არ გვსურს ქარიშხალი, რომელსაც მხოლოდ უბედურება მოაქვს.

საბჭოთა კავშირი გარკვევითა და მტკიცედ აცხადებს, რომ გამალებული შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის, ბირთვული ომის საფრთხის შემცირებისა და საბოლოო ანგარიშით მთლიანად თავიდან აცილების პრინციპული კურსის ერთგული რჩება. მხარს ვუჭერთ და ვიწონებთ რა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელის განცხადებას, კვლავაც მთელ მეცადინეობას ამ კეთილშობილური მიზნების მიღწევას მოვახმართ.

**ჯ. ბარუჩავა,**
**ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ოსტატი.**

### ვეტერანის რწმენა

ჩემთვის, დიდი სამამულო ომის მონაწილისათვის, განსაკუთრებით ახლობელი და გასაგებია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადების ამაღელვებელი სიტყვები.

სსრ კავშირის ხელმძღვანელობამ არაერთხელ გაიფრთხილა ამერიკის შეერთებული შტატები და მისი თანამზრახველი ქვეყნების მთავრობები, თუ რა სახიფათო შედეგებს მოიტანს ამერიკის ახლანდელი ადმინისტრაციის მილიტარისტული კურსი, რომელმაც „ჯვაროსნული ლაშქრობა" გამოაცხადა სოციალიზმის წინააღმდეგ. ოკეანისგაღმელმა აგრესორებმა არ მოუხმეს გონიერების, შეუდგნენ ევროპაში „პერშინგებისა" და ფრთოსანი რაკეტების განლაგებას. ამ პირობებში ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის საკითხზე ჟენევის მოლაპარაკების განგრძობა მხოლოდ საფარს შეუქმნის ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს მთელი რიგი სხვა ქვეყნების მოქმედებას, რომელთა მიზანია ძირი გამოუთხაროონ ევროპისა და საერთაშორისო უშიშროებას.

სწორედ ამიტომაც, ერთსულოვნად ვიწონებთ რა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელების მიერ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებასა და ღონისძიებას, ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, კიდევ უფრო მეტი ენერგიით განვამტკიცებთ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკურ და თავდაცვით ძლიერებას. როგორც სამხედრო კაცი ვადასტურებ, რომ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა იმ დონეზეა, რომელიც საჭიროა საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის საიმედო უზრუნველყოფისათვის.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იკისრა პასუხისმგებლობა იმ ბეცი პოლიტიკის შედეგებისათვის, რომელსაც ახორციელებს. მაგრამ ვაშინგტონს ნუ ეშინა ილუზიური იმედი, რომ სიპასუხო ბირთვულ დარტყმას აიცილებს საკუთარ სახლს.

**ნ. თავართქილაძე,**
**გადამდგარი გენერალ-მაიორი.**



ავტომობილის საწარმოო გაერთიანება „გაზთიადის" მრავალი ნაწარმი სახელმწიფო ხარისხის ნიშნით აღინიშნა. ასეთი შედეგისათვის ბრძოლაში შრომის ვეტერანებთან ერთად ბევრი ახალგაზრდა და კომკავშირელი დაწინაურდა. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას ხელი შეუწყო მრავალმა ფაქტორმა და უპირველესად შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებამ, საქმისადმი დიდმა პასუხისმგებლურმა დამოკიდებულებამ. გაერთიანების არა ერთმა და ორმა ნაწარმმა დაიმსახურა მომხმარებლის მოწონება. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა საწარმოს ათობით მშრომელი.

**სურათებზე: № 1 საამქროს ოსტატი, კომკავშირის კომიტეტის საწარმოო სექტორის ხელმძღვანელი ზურაბ მელაშვილი ამოწმებს დურგლის ვიქტორ პოდინის პროდუქციის ხარისხს; საამქროს კომკავშირის ბიუროს წევრმა, ოპერატორმა ნინო სხირტლაძემ გაერთიანებაში ერთ-ერთმა პირველმა უპატაკა სამშობლოს პირადი წლიური გეგმის ვადამდე შესრულება.**

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).



## ხუთწლედი — წელი მესამე

### რაციონალიზატორთა წვლილი

**გათუმი.** (საკ. კორ.). ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივის წარმატებაში ცოტა წვლილი როდი შეაქვთ რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს. მათი დახმარებით უმჯობესდება ტექნოლოგიური პროცესები, ადამიანებს უმსუბუქდებათ შრომა, იზოგება მატერიალური რესურსები.

წლეულს ქარხნის რაციონალიზატორებმა 78 რაციონალიზატორული წინადადება შესთავაზეს ადმინისტრაციას, მათი დიდი უმრავლესობა უკვე დაინერგა და ეკონომიკურმა ეფექტმა 208 ათას მანეთს გადააჭარბა, მარტო № 2 საამქროს რაციონალიზატორებმა 18 წინადადება დანერგეს. ნოვატორებს საუკეთესო მაგალითს აძლევს საამქროს უფროსი მ. კრასნოლობოვი. ასევე თავი გამოიჩინეს ვ. ბულგაკოვმა, ვ. ბესტავაშვილმა, ი. კახიძემ, ა. მახარაძემ და მრავალმა სხვამ. საწარმოში სისტემატურად იზრდება რაციონალიზატორთა რიგები, რაც თავისთავად ბევრისმთქმელია.

### იცავენ მიწოდების ვალდებულებას

**ტყიბული.** (საკ. კორ.). გელათის ტრანსფორმატორების ქარხნის (დირექტორი პ. მეტონიძე) კოლექტივის მიერ გამოშვებული საჩარხო ტრანსფორმატორები კარგად არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში. გელათური პროდუქცია ბოლო ხანს საზღვარგარეთის ოცდაათამდე ქვეყანაში იგზავნება.

მეტარაზოფორმატორები წლეულსაც აქტიურობენ. ქარხანამ იანვარ-ოქტომბერში გეგმის გადამეტებით 226 ათასი მანეთის ელექტრონაწარმი დაამზადა. პროდუქციის წარმოება ათ თვეში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 6,3 პროცენტით გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ ქარხნის კოლექტივმა წლეულს თავისი ნაწარმის ყველა მომხმარებელი დაკმაყოფილა, სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა.

ქარხანაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საექსპორტო დანიშნულების საჩარხო ტრანსფორმატორების დამზადებას. წლეულს საზღვარგარეთ

## პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს კონფერენცია

# ფოთის კოორდინატების სისტემა

**ის,** თუ რა მოხდა ფოთში, ისე როგორც თავის დროზე აბაშაში, ყველამ იცის რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც კი. საქმარისია ითქვას, რომ ქვეყნის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დავალებით ცალკე სტრიქონით აფიქსირებს ცხრაბებს 50-ათასიანი ქალაქის სახალხო მეურნეობის ფუნქციონირების შესახებ.

თვით სიტყვათშეწყობა „ფოთის ექსპერიმენტი“ თავისებური ტერმინი გახდა, რომელიც აღნიშნავს სამეურნეო და იდეოლოგიური მუშაობის სხვადასხვა დარგში წამოწყებათა ჯამს. ყველა ეს წამოწყება ხორციელდება პარტიის XXVI კრებლობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებით განსაზღვრული ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების სტრატეგიის კალაპოტით.

ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში „დამკვიდრდა წესი— მუშაობაში წარმატების უმთავრეს კრიტერიუმად ჩაითვალოს მატერიალური წარმოების სფეროში მიღწეული შედეგები, ამასთან რეალური შედეგები, რომლებიც მოპოვებულია ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის პირობებში.

როგორი შედეგებით გამოიარა ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ გზა წინა კონფერენციიდან ახლანდელ კონფერენციამდე, რომელიც სწორედ დაემთხვა „ფოთის ექსპერიმენტის“ შემუშავებასა და განხორციელებას? პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ბ. დ. გულუას საანგარიშო მოხსენებაში, ორატორების გამოსვლებში აღინიშნა, რომ აქ შექმნილი ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანება ეკონომიკური აღმავლობის უზრუნველყოფის საიმედო ბერკეტი გახდა. უწყებრივი დაქვემდებარების განურჩევლად მან გამოიწვია ქალაქის ყველა საწარმოს დაინტერესება რენტაბელური ეფექტიანი მუშაობისათვის, რომლის მიზანია მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიღწევა. პოლიტიკური თვალსაზრისით მართვის ახალი მეთოდების მეთოხებით კიდევ უფრო გაფართოვდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ზეგავლენა და პასუხისმგებლობა, განისაზღვრა ფუნქციები პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს შორის. სწორედ ამ საფუძველზე წყდება კომპლექსურად ქალაქის წინაშე დასახული ამოცანები.

ახლა ყოველდღე კონტროლს უწევენ და უზრუნველყოფენ დავალებათა შესრულებას სახალხო მეურნეობის 100-ზე მეტი მაჩვენებლის მიხედვით. ამის მეოხებით წლის დამლეგისათვის წარმოების მოცულობის ზრდა მიაღწევს 122 პროცენტის მაჯნას, გეგმით გათვალისწინებული 109 პროცენტის ნაცვლად. ხუთწლედის დამდეგიდან უკვე გამოშვებულია დამატებით 43 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია.

ფინანსური შედეგებიც შთამბეჭდავია. საკავშირო სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვა გაიზარდა 41,7 პროცენტით. სტაბილურად სრულდება მიწოდების ვალდებულებანიც. პარტიის საქალაქო კომიტეტის რეკომენდაციით შემუშავებული ყოველდღიური კონტროლისა და ანალიზის სისტემა ამ დარგში მუშაობის გაუმჯობესების რეალურ შესაძლებლობას იძლევა.

ეს მხოლოდ ქალაქის შრომითი საქმიანობის რამდენიმე მონაცემია, რომლებიც მოიყვანეს პარტიულ კონფერენციაზე. და ეს მონაცემები დამაჯერებლად ადასტურებს დიდი ხნის ჭეშმარიტებას: უფრო შეთანხმებული მუშაობა —ეს კიდევ უფრო მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობაცაა.

მასშტაბური ექსპერიმენტის მნიშვნელობა აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე. ეს სამეურნეო მექანიზმის მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა-გარდაქმნის ერთ-ერთი გზაა. მაგრამ მას ახორციელებენ ადამიანები, რომელთა ძიება, გეგრგილიანობა, ინიციატივიანობა თავიანთ სამუშაო ადგილებზე განსაზღვრავენ თითოეული წამოწყების ცხოველუნარიანობას. და, მაშასადამე, კიდევ უფრო მწვავედ ვლინდება, რომ წინსვლის ტემპი დამოკიდებულია თითოეულის შეგნების, სოციალური აქტიურობის დონის ამაღლებაზე.

ყველა ღონისძიება, რომლებიც ფოთში ხორციელდება, ემყარება როგორც საწარმოების, ისე ქალაქის მოსახლეობის საჭიროებებისა და საზრუნავის გულდასმით შესწავლას. მათი პროპაგანდა კი მიზნად ისახავდა ახალი ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებას. ამას დაუქვემდებარეს იდეოლოგიური მუშაობის ყველა საშუალება, აგიტაციის ყველა ფორმა, პარტიული სწავლების სისტემაში მეცადინეობით დაწყებული და ქალაქის ცენტრალურ მოედანზე საღამოს შუქგაზეთის გამოშვებით დამთავრებული.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ასეთი ფაქტი: ჯერ კიდევ სექტემბერში ადგილობრივ გაზეთ „ახალ კოლხეთში“ გამოქვეყნდა ვრცელი მასალა კონფერენციის შუა პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ. ამის შედეგად შემოსული მშრომელთა წერილების ანალიზმა დიდი მოცულობის ძვირფასი ინფორმაცია მოგვცა ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებული ნაკლოვანებების, ორგანიზატორულ და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი ბრძოლის ფორმებისა და ხარვეზების შესახებ. მისი მეოხებით შესაძლებელი გახდა უფრო ზუსტად განსაზღვრულიყო გადასაჭრელი პრობლემებიც.

შეხვედრები, დისკუსიები შრომატევადურ-დარგობრივმა გაერთიანებამ. ამას წინათ მოწყობილმა ასეთივე გამოკითხვამ დაადასტურა: მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია სამი მეოთხედით.

მაგრამ, ხაზგასმით აღინიშნა კონფერენციაზე, კულტურულ უნარ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის ასორტიმენტის გაფართოება და სისტემატური გაჯანსაღება კვლავ დღის წესრიგშია. ამ საკითხის გადაწყვეტა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანის განხორციელების —ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების ნაწილია.

როცა პერსპექტივები განსაზღვრეს, ფოთელმა კომუნისტებმა დასახეს ამოცანა, განუხრელად სრულყონ მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის დონე, მიაღწიონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდას, დაიჩქარონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის ტემპი. ამის საფუძველი კი პარტიული და სამეურნეო ცხოვრების ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის ყოველმხრივი გაუმჯობესებაა.

კონფერენციის ტრიბუნიდან არაერთხელ გაისმა სიტყვები „ახალი ჰორიზონტალურ-ვერტიკალური ურთიერთობის მექანიზმი“. ამით იგულისხმება ბევრი რამ, რაც აერთიანებს ფართო ინტერესებსა და ღრმა გადაწყვეტილებებს, პრობლემების მასშტაბსა და მათი გადაჭრის მონაწილეთა სხვადასხვა დონეს. და თუ ამ ახალ ურთიერთობას წარმოვიდგენთ როგორც კოორდინატების სისტემას, ამ მეცადინეობის გადაკვეთის ყოველ წერტილში დაინახავთ ზრუნვას ადამიანებისათვის. ეს არის არსი მთელი მუშაობისა, რომელსაც უკვე „ფოთის ექსპერიმენტს“ უწოდებენ.

კონფერენციაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ხაბეშვილი.

**ი. სუდაკოვა,**
**საქინფორმის სპეც. კორ.**

# ხარისხის გაუმჯობესების რეზერვები

**განვითარებული** სოციალიზმის სრულყოფისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა თქვა, რომ „უდავოდ ღირს ახლა მთავარი ყურადღება მივაპყროთ შეჯიბრების ისეთ მიზნებს, როგორიცაა პროდუქციის ხარისხის ამაღლება“.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა წარიმართა ამ მიმართულებით ბოლო წლებში. რესპუბლიკის 627 სამრეწველო საწარმოში ეტაპობრივად ინერგება ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემები, მათგან 484 საწარმოში ისინი უკვე მოქმედებს. 66 საწარმო შეუდგა ამ სისტემების სრულყოფას კრასნოდარის მხარისა და დნეპროპეტროვსკის ოლქის მოწინავე საწარმოების გამოცდილებათა გათვალისწინებით. მართვის დარგობრივი სისტემები დამუშავდა და ინერგება მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის, ხის დამამუშავებელი, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების საწარმოებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პროდუქციის ხარისხისა და ეფექტიანობის კომისიის, სამინისტროების, უწყებათა და რეგიონალური კომისიების მიზანდასახულმა მუშაობამ სათანადო შედეგი მოგვცა.

დღეისათვის რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები სახელმწიფო ხარისხის ნიშნით 2311 დასახელების პროდუქციას უშვებენ. სპეციალი ხუთკუთხედით აღნიშნულმა პროდუქციის ხვედრითმა წილმა საერთო-სასაქონლო პროდუქციაში გეგმით გათვალისწინებული 13,8 პროცენტის ნაცვლად 14,6 პროცენტს მიაღწია, რაც 1246,3 მილიონ მანეთს შეადგენს. ეს საგრძნობლად აღემატება როგორც საგეგმო, ისე სოციალისტური ვალდებულებით ნაკისრ მაჩვენებელს.

როგორც ცნობილია, საწარმოთა, სამინისტროთა და რეგიონების სოცშეჯიბრების შედეგების შეჯამება წარმოებს ხარისხის უმაღლესი კატეგორიის ნაწარმის ხვედრითი წილის გათვალისწინებით ატესტაციას დაქვემდებარებულ პროდუქციაში. ეს მაჩვენებელი რესპუბლიკაში 47 პროცენტს შეადგენს და ამით ქვეყანაში ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე ვიმყოფებით.

სპეციალი ხუთკუთხედით აღნიშნული პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის 10 თვის გეგმა წარმატებით შეასრულეს რესპუბლიკის მეტმა წილმა სამინისტროებმა და უწყებებმა, რეგიონებმა და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი რესპუბლიკის მსუბუქი, ხის დამამუშავებელი, საშენ მასალათა მრეწველობის, სოცუზრუნველყოფის, საავტომობილო გზების სამინისტროებმა, ქალაქებმა — თბილისმა, ქუთაისმა, ჭიათურამ, ზესტაფონის ფეროშენადნობთა და საქაბელის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნებმა.

აღსანიშნავია, რომ რიგი საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროთა მიერ გამოშვებული უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი სჭარბობს ამ დარგების საერთო-საკავშირო მაჩვენებლებს.

თუმცა ამ მიმართულებით ნაკლოვანებებიც ბევრი გვაქვს, ზოგიერთ საწარმოში ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი საერთო-საკავშირო მაჩვენებლებზე დაბალია. ახეთთა რიცხვს განეკუთვნება ჩარხმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის, სასუქების წარმოების, ქიმიური მრეწველობისა და სხვა საკავშირო სამინისტროების საწარმოები.

ზოგი საწარმო კი ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრით წილს ყოველწლიურად ამცირებს წარმოების მთლიან მოცულობაში. ესენია რუსთავის ქიმიური ბოჭკოს, ცხინვალის ელექტროვიბრომანქანების, სიხუმის გაზქურების, თბილისის კალინინის სახელობის, ბათუმის მანქანათმაშენებელი ქარხნები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკმარისი არ არის ის ღონისძიებები, რომლებიც სამშენებლო ინდუსტრიის პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებისათვის ხორციელდება.

არცთუ იშვიათია, როცა ზოგი საწარმოს ხელმძღვანელები იბრძვიან იმისთვის, რომ როგორმე მიაღწიონ სახელმწიფო ხარისხის ნიშანი ცალკეულ ნიმუშებს. ეს მაშინ, როცა პროდუქციის სერიულად გამოშვებისას ხარისხს აღარ აქცევენ სათანადო ყურადღებას.

მარტო მიმდინარე წლის 9 თვეში სახელმწიფო ხარისხის ნიშანი ჩამოერთვა 20 დასახელების ნაწარმს, მათ შორის ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საკაბე ქსოვილს, თბილისის „ისნის“ გაერთიანების ორი სახეობის საბავშვო სანდალეტებს, ბათუმის ტყავ-ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანების მამაკაცის ფეხსაცმელს, „საქყოფიმიის“ — თბილისის საწარმოო გაერთიანების სარეცხ საშუალებას „სელენას“, გაერთიანება „სახარულის“ სათამაშოს და სხვ.

გამოდის, რომ ვეძებთ ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვების რეზერვებს. მაგრამ შრომის სუსტი ორგანიზაციის გამო ვთმობთ პოზიციებს. გვინდა კიდევ ერთხელ შევახსენოთ წარმოებათა და გაერთიანებათა ხელმძღვანელებს, რომ განუხრელად უნდა ვასრულებდეთ ამოცანებს, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 11 დეკემბრის დადგენილებამ დაგვისახა. ამ დადგენილების შესაბამისად განსაკუთრებით ამაღლდა წარმოების ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობა გეგმების აუცილებლად შესრულებისათვის, ხარისხისნიშნიანი პროდუქციის წარმოების ყველა რეზერვის გამოვლენისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის მრეწველობა ყოველწლიურად ზრდის ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრით წილს, სავაჭრო ქსელში მაინც ვხვდებით გარკვეული ოდენობის უხარისხო ფეხსაცმელს, შეკერილ და ტრიკოტაჟის ნაწარმს, ავეჯს, საღებავებს და სხვა ფართო მოხმარების საქონელს. დაბალი ხარისხისაა ისეთი სახეობის (შეკერილი და ტრიკოტაჟის ნაწარმი, ფეხსაცმელი, ავეჯი და სხვა) პროდუქცია, რომლის წარმოების მოცულობა რესპუბლიკაში სავსებით საკმარისია მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ნაწარმის ხარისხის დაბალი დონე იწვევს ფულადი სახსრების მიგრაციას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და ქმნის დისპროპორციას ფულად შემოსავალსა და სასაქონლო მასით უზრუნველყოფის შორის. ეს არა მარტო სამეურნეო, არამედ პოლიტიკური საკითხიც გახლავთ.

უხარისხო პროდუქციის გამოშვების ძირითადი მიზეზებია საწარმოს განახლების ნელი ტემპი, მოძველებული ტექნოლოგია, დაბალი ხარისხის ნედლეული, ტექნოლოგიური პროცესების დაუცველობა, ადმინისტრაციისა და ტექნიკური კონტროლის მხრივ სუსტი კონტროლი და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში საკმაოდ არიან პროდუქციის ხარისხის მაკონტროლებელი ორგანოები, სასურველ შედეგებს მაინც ვერ ვაღწევთ.

როგორც ზემოთ ვთქვეთ, რესპუბლიკის ბევრ ადგილას ... ტესობა წარმატებით ... თავს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების დავალებებს, მაგრამ არის ქალაქები და რაიონები, სადაც ჯერ კიდევ არ ხორციელდება ამ მმართველებით სათანადო ღონისძიებანი, ვერ ავლენენ და ვერ იყენებენ არსებულ რეზერვებს, არ არის გაშლილი სათანადო იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა საზოგადოების ფართო მასების დასარაზმავად.

რესპუბლიკაში არსებობს საკმაო რაოდენობის ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილის ზრდისათვის. ეს რეზერვები, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეძიოთ პირველი კატეგორიის პროდუქციაში. ამჟამად ატესტაციას დაქვემდებარებული პროდუქციის 52 პროცენტი (რაც შეადგენს 1,5 მილიარდ მანეთს) პირველი კატეგორიის არის.

წლიდან წლამდე ვერ მოუხერხებიათ ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ათვისება თბილისის „საქსოფლმაშენის“, ქუთაისის მოტობლოკების, შორაპნის ელემენტების ქარხნების, ქიმიური მრეწველობის სამინისტროს საწარმოები თავიანთი პროდუქციის 70 პროცენტს უშვებენ პირველი კატეგორიით, ანალოგიური მდგომარეობაა სხვა საწარმოებშიც. ყველა პირობა არსებობს, რომ გამოშვებულ პროდუქციაში უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი გაადიდონ ჩარხმშენებლებმა, ხელსაწყოთმშენებლებმა, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის, მშენებლობის და სასოფლო მშენებლობის სამინისტროების საწარმოებმა.

ამჟამად რესპუბლიკაში დიდი მოცულობის სამუშაოები მიმდინარეობს არსებული რეზერვების გამოვლენისა და გამოყენებისათვის.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ წლეულს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა გამოუშვეს 1,3 მილიონი მანეთის მერრე კატეგორიის პროდუქცია, მათ შორის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ 0,5 მილიონი მანეთისა და საბინაო კომუნალური მომსახურების სამინისტრომ 0,8 მილიონი მანეთისა, რაც დღევანდელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში სამარცხვინოა. აღნიშნული სამინისტროების ხელმძღვანელებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ ეს აღარ განმეორდეს, როგორც ვიცით, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება საჩალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესის დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ 1984 წლიდან შემოღებული იქნება სამრეწველო პროდუქციის ატესტაციის ორი კატეგორია — უმაღლესი და პირველი. ნაწარმი, რომელიც ამ კატეგორიის შესაბამისი არ იქნება, წარმოებიდან მოიხსნება.

რესპუბლიკის მრეწველობის წინაშე დგას მეტად საპატიო ამოცანა: ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი საერთო სამრეწველო პროდუქციაში წლის ბოლოსათვის 15 პროცენტი უნდა შეადგინოს. ამ ამოცანის გადასაწყვეტად არსებობს ყველა ობიექტური პირობა და მისი განხორციელება მოითხოვს ენერგიის, ძალების, ნებისყოფის მაქსიმალურად დაძაბვას.

**ი. ჟვანია,**
**საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პროდუქციის ხარისხისა და სტანდარტიზაციის განყოფილების უფროსის მოადგილე.**

## მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

# გაგრელ მეცხოველეებთან

**გაგრის** შრომის წითელი დროშის ორდენოსან მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსში თითოეული საფურაჟე ძროხის წველადობა მიმდინარე წლის ათ თვეში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 140 კილოგრამამდე გაიზარდა.

მეცხოველეები ვარაუდობენ ვადამდე, 10 დეკემბერს შეასრულონ სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის წლიური გეგმა. ხორცის მიყიდვის გეგმა უკვე შესრულებულია და საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის მშრომელებს თავიანთ ანგარიშზე 570 ცენტნერი ზეგეგმითი ხორცი აქვთ.

წარმატებების საფუძველია საკვების „მყარი ბაზა. მეურნეობაში 500 ჰექტარი აქვს გამოყოფილი საკვებ კულტურებს. აქ მოპყავთ სამყურა, სახილოსე სამინდი, ძირხვენები, თანაც მექანიზატორები წელიწადში მწვანე მასის რამდენიმე მოსავალს იღებენ.

კომპლექსის ფერმებში მაძღრისი გამოზამთრებით უზრუნველყოფილია ათასივე სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი.

**სურათებზე:** მანქანური წველის ოპერატორები ახია წოწონავა, ოლგა კუდრინა და ვიქტორ სუსლოვი, რომლებიც ბრიგადული იჯარით მუშაობენ; კომპლექსში კომკავშირული საგზურით მოვიდა სამუშაოდ ნონა ტყეშელაშვილი, იგი ჩინებულად უვლის ხბოებს.

**ი. ბოსტონელიძის** ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# მუდამ მოწინავეთა რიგებში

**იოლი** როდია ყოველთვის მოწინავე იყო შენს საწარმოო კოლექტივში. ქეთევან ბაკურაძე კი ამას ახერხებს. წლების მანძილზე იგი სათავეში უდგას ონის რაიონის პიპილეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას და თვალსაჩინო შრომითს გამარჯვებებს აღწევს.

— თავიდან ნოემტორი მეცხოველე, — გვეუბნება მეურნეობის დირექტორი უ. ტაბუცაძე, — თვრამეტ ძროხას უვლიდა, თავის დროზე წველიდა, არწყუულებდა, ნოყიერ საკვებს აძლევდა. დროთა განმავლობაში ძროხების რაოდენობამ მეურნეობაში თანდათან იმატა, მწველავები კი არ გვყოფნიდა. ქეთევანმა პირველმა ნებაყოფლობით გამოთქვა სურვილი დამატებით აეყვანა 5 ძროხა. მის მაგალითს მიბაძეს კოლეგა ქალებმა მაყვალა და სულიკო მაისაშვილებმა, გულნარა ბაკურაძემ და მარგარიტა ნოდარიშვილმა. ოთხივე ახლა საზოგადოებრივი ფერმის 97 ძროხას უვლის. ისინი სულ იმას ცდილობენ, რომ მხარი გაუსწორონ თავიანთ დამრიგებელს. ქეთევანიც მათ ყოველთვის კომუნისტური შრომის სანიმუშო მაგალითს უჩვენებს, ყოველწლიურად ზრდის თავისი ძროხების წველადობას.

მეურნეობის საგეგმო განყოფილების მუშაკებმა შეაჯამეს წლეკეთილი ათ თვეში მწველავთა მიერ გაწეული მუშაობის შედეგები. შრომითს მეტოქეობაში ყველას ქეთევანი უსწრებს. მან თავის ძროხებზე უკვე 24243 კილოგრამი რძე მიიღო, 7643 კილოგრამით მეტი, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული. არც ქეთევანის მეგობარი ქალები დარჩენილან ვალში. მათ როგორც წლიური დავალება, ისე ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს.

მუდამ წინ, ბატონო ... ... ...

2 დეკემბერი

# უკანასკნელი

ფაქტები
მოვლენები
საკლესიო
იუწყება

# ყველა ხალხის ინტერესებისათვის

## გამოხმაურების ფართო ნაკადი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან

**ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაზე გამოხმაურების ფართო ნაკადი, რომელიც კვლავ მოდის სხვადასხვა ქვეყნიდან, მოწმობს, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობას კარგად ესმის უდავო ფაქტი — ღონისძიებანი, რომლებიც საბჭოთა ხელმძღვანელობამ განახორციელა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს საშიში მოქმედების პასუხად, ემსახურება არა მარტო სოციალისტური ქვეყნების უშიშროების უზრუნველყოფას, არამედ ხელს უწყობს კიდეც საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას, რითაც პლანეტის ყველა ხალხია დაინტერესებული.**

**ვიეტნამის** კომუნისტური პარტია, მთავრობა და ხალხი სავსებით უჭერენ მხარს ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების უშიშროების უზრუნველყოფად გამიზნული ღონისძიებების შესახებ, ხაზგასმით აღნიშნა ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ვო ტი კონგმა.** სსრ კავშირთან და სხვა მოძმე ქვეყნებთან ერთად ჩვენ კვლავაც მთელ ძალ-ღონეს მოვახმართ ბრძოლას ბირთვული ომის საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები ქმნიან, ბრძოლას ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

**ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ** მტკიცე პროტესტი განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ახალი აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს უაღრესად საშიში შედეგი საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისათვის. მილიონობით ქალი, ნათქვამია მის განცხადებაში, გამოთქვამს მრისხანე პროტესტს რეგანის ადმინისტრაციის მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც აშკარად ემზადება ბირთვული ომის გაჩაღებისათვის. ფედერაცია დაჟინებით მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხელმძღვანელებს ყური ათხოვონ ხალხების ხმას, გონების ხმას, აწონ-დაწონონ ყველა შედეგი, რომლებსაც კაცობრიობას უქადის ევროპაში ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების გეგმების ხორცშესხმა. მთელი მსოფლიოს ქალებს — მარშიბნსა და მანიფესტაციების, მშვიდობის ბანაკებისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების ირგვლივ პიკეტების მონაწილეებს, განაცხადა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაუყოვნებლივ, სანამ გვიან არ არის, გზა გადაუღობონ ამერიკულ „პერშინგებს“ და ფრთოსან რაკეტებს, დაიცვან მსოფლიო ბირთვული კატასტროფისაგან.

ევროპაში უახლესი ბირთვული რაკეტების განლაგების გზით თეთრი სახლი იმედოვნებდა ეიძულებინა საბჭოთა კავშირი დთმობაზე წასულიყო პრინციპულ საკითხებში, შერიგებოდა საბჭოთა საზღვრების უშუალო სიახლოვეს ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული იარაღის თოფდაც ნაწილობრივ განლაგებას, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის საბჭოს წევრმა, პროფესორმა **მ. სოლომონმა.** მაგრამ ეს არ მოხდა — საბჭოთა კავშირმა განახორციელა საპასუხო ღონისძიებანი, რომელთა შესახებაც გაგაფრთხილა. ხოლო სპეციალიური განცხადებანი იმის შესახებ, თითქოს დასავლეთ ევროპაში ამერიკის რაკეტების განლაგების შემთხვევაშიც კი შეიძლება განახლდეს ენევის მოლაპარაკება, სინამდვილეს არ შეესაბამება, ხაზგასმით აღნიშნა მან. ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის პრობლემა შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპის საფუძველზე. სრულიად აშკარაა, რომ თვით ამერიკის შეერთებული შტატები არასოდეს დათანხმდებოდა იმაზე, რომ მათ ტერიტორიას ისეთივე საფრთხე ემუქრებოდეს, როგორსაც სსრ კავშირს უქმნის ევროპაში საშუალო სიშორის ამერიკული რაკეტების **განლაგება.**

„ყველამ, ვინც ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მოვლენათა განვითარებას ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ენევის მოლაპარაკებაზე, არ შეიძლება არ გამოტანოს დასკვნა, რომ მოლაპარაკების ჩაშლაში ბრალი მთლიანად და სავსებით ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას მიუძღვის, — თქვა ცნობილმა ინგლისელმა საზოგადო მოღვაწემ, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა **გ. შაფერმა.** — მთავარი მიზანი, რომელსაც ესწრაფვოდა და ესწრაფვის ვაშინგტონი, ეს მსოფლიოში, მათ შორის ევროპაშიც სამხედრო კონფრონტაციის შენელება კი არ არის, არამედ სამხედრო უპირატესობის მიღწევა საბჭოთა კავშირთან შედარებით. ინგლისის ომის საწინააღმდეგო ორგანიზაციებმა, აღნიშნა მან, გაშალეს ახალი კამპანია ამერიკული „ფრთოსანი სიკვდილის“ სასტარტო მოედნად ქვეყნის გადაქცევის წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობის ფარგლებში. ჩვენი მთავარი ამოცანაა მივაღწიოთ ინგლისში ამერიკული ფრთოსანი რაკეტების განლაგების შეწყვეტას, მათ გატანას ქვეყნიდან.

დასავლეთ გერმანიის გაზეთი „ვესტფელიშე რუნდშაუ“ აფრთხილებს ბონს, რომ მორჩილად არ გაჰყვეს ფარვატერში ვაშინგტონს ავანტიურისტულ კურსს. განმარტავს რა ბუნდესტაგის გადაწყვეტილებას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „პერშინგ-2“ და ფრთოსანი რაკეტების განლაგების შესახებ, გაზეთი წერს: ბუნდესტაგში კენჭისყრის შედეგი გახდება ომის საწინააღმდეგო მოძრაობის გაძლიერება, მოქალაქეთა იმ რწმენის ზრდა, რომ უფლება აქვთ გასწიონ წინააღმდეგობა.

ბონის ხელმძღვანელებმა დატენეს ზარბაზანი, რომელსაც შეუძლია ცეცხლი მათვე დაუშინონს. თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა კვლავინდებურად ვამოჩენს რეიგანის ერთგულებას, რამდენიმე წლის შემდეგ აქ საქმე გვექნება ნამდვილ ანტიამერიკანიზმთან.

აფრიკის ხალხები, ისევე როგორც ქვეყანად მთელი პროგრესული ძალები, სავსებით უჭერენ მხარს ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას, თქვა სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის ეროვნული ალმასკომის წევრმა **ფლორენს მაპოშომ.** ეს განცხადება ნაკარნახევია საბჭოთა კავშირის გულწრფელი მისწრაფებით აღმოფხვრას ომის საფრთხე, შეუნარჩუნოს მშვიდობა ახლანდელ და მომავალ თაობებს.

● ანგოლა

## ბავშვები ადანაშაულებენ იმპერიალიზმს

**ლუანდა.** ანგოლის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში დამთავრდა საერთაშორისო ტრიბუნალის სხდომა „ბავშვები ადანაშაულებენ იმპერიალიზმს“. სხდომის მუშაობის დროს ევროპის, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყნის წარმომადგენლებმა გულისწყრომით დაგმეს იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, აპარტეიდისა და სიონიზმის დანაშაულობანი. ფორუმის მონაწილეთა გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩვენს პლანეტაზე ბავშვთა ტანჯვასა და გაჭირვებაში მთავარი დანაშაული მიუძღვის ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმს, რომელსაც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ვაშინგტონის სანქციით ჩადენილი საზარელი ბოროტმოქმედებისათვის.

ტრიბუნალის მონაწილეებმა მოუწოდეს დედამიწის ყველა პროგრესულ ადამიანს გაერთიანონ ძალები, რათა იბრძოლონ ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ხალხთა უშიშროებისა და სოციალური პროგრესისათვის.

# სოციალისტურ ქვეყნებში

### უნგრეთი:

## იყენებენ მიწის სითბოს

**ბუდაპეშტი. უნგრეთის სოლნოკის ოლქის დაბა იასკიშერის მახლობლად გეოლოგებმა აღმოაჩინეს თერმული წყლების მდიდარი მარაგი.** დღეს ამ წყლებით თბება სამი სკოლა, რამდენიმე დასასვენებელი სახლი და პროფილაქტორიუმი, მაღაზიები და სხვა საზოგადოებრივი შენობები. დაახლოებით 70 გრადუსამდე გამთბარ წყალს ერთი კილომეტრი სიღრმიდან ტუმბავენ სათბობ სისტემაში.

ცხელ მიწისქვეშა წყლებს ტუუფლად როდი უწოდებენ უნგრეთის წიაღის ერთ-ერთ მთავარ სიმდიდრეს. მათი მარაგის მიხედვით, რომელიც შეადგენს დაახლოებით 500 მილიარდ კუბურ მეტრს, რესპუბლიკას ევროპის ერთ-ერთ ადგილი უჭირავს. შემთხვევითი როდია, რომ მიწის სითბოს სულ უფრო ფართოდ იყენებენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში.

ამჟამად ქვეყანაში თერმული წყლების დახმარებით თბება პოლიეთილენის აფსკით გადახურული სათბურები, რომელთა საერთო ფართობი დაახლოებით ორ მილიონ კვადრატულ მეტრს შეადგენს. იაფ სითბოს იყენებენ მეცხოველეობის ფერმების, სამრეწველო შენობების, მთელი საცხოვრებელი უბნების გასათბობად, აგრეთვე საწარმოებისა და ბინების ცხელი წყლით მომარაგებისათვის.

### რუმინეთი:

## ახალი საირიგაციო სისტემა

**ბუქარესტი. კონსტანცის მაზრაში დამთავრდა 23 ათასი ჰექტარი საერთო ფართობის ახალი საირიგაციო სისტემის მშენებლობა.** სისტემის მოწყობილობა მთლიანად დამზადებულია რესპუბლიკის საწარმოებში. მშენებლობის დროს გამოიყენეს თანამედროვე ტექნიკური გადაწყვეტილებანი, რომლებიც ითვალისწინებენ რუმინეთის დობრუჯის რელიეფისა და კლიმატური პირობების თავისებურებას.

ნიადაგის ირიგაციის, დაშრობისა და ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამის შესაბამისად, რუმინეთში სარწყავი მიწების ფართობი მომდინარე ხუთწლედის დამლევისათვის 4 მილიონ ჰექტარს შეადგენს. პერსპექტივაში გათვალისწინებულია მისი წილი გაიზარდოს მთელი სახნავი მიწების 60 პროცენტამდე, რაც მნიშვნელოვნად გაადიდებს მოსავლიანობას.

### ქორეა:

## სწრაფი ტემპით

**ფხენიანი.** ქვეყნის ჩრდილოაღმოსავლეთის პროვინცია ჰამგენ-პუქტოში საეკსპლოატაციოდ გადასცეს ილსინის შახტი, სადაც მაღალკალორიული ქვანახშირის დიდი მარაგია. წლის დამლევამდე მეშახტეებს განზრახული აქვთ ამოიღონ ათასობით ტონა სანახშირე.

ქვანახშირი სათბობის მთავარი სახეობაა რესპუბლიკაში, სადაც ჯერჯერობით არ აღმოუჩენიათ ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მარაგი. ახლა ქვანახშირის მთავარ აუზებში სწრაფი ტემპით მომდინარეობს ახალი შახტების მშენებლობა და მოქმედთა რეკონსტრუქცია. 80-იანი წლების დამლევისათვის კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში განზრახული აქვთ ქვანახშირის წლიური მოპოვება 120 მილიონ ტონამდე გაზარდონ. საბჭოთა კავშირი ეფექტიანად ეხმარება სახალხო კორეას დარგის განვითარებაში, აწვდის დიდმწარმოებლურ ტექნიკასა და მოწყობილობას.

### ლაოსი:

## შენდება ჭიდეცენგრი

**ვიენტიანი.** ლაოსის დედაქალაქის ტელეცენტრის მშენებლობის დამთავრება ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებათა კონკრეტული ხორცშესხმაა. ამ ყრილობამ დასახა სოციალისტური კულტურის განვითარების გზები.

შემუშავებულია ტელევიზიის განვითარების ყოველმხრივი პროგრამა. დასახულია გადაცემათა ციკლი, რომლებიც ასახავენ პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ კურსს, სოციალისტური თანამეგობრობის მეზობლებს.

ლაოსელ მეგობრებს ტელეცენტრის მშენებლობაში დიდი დახმარება გაუწიეს საბჭოთა კავშირმა, სოციალიზმის სხვა მოძმე ქვეყნებმა. მათ მიაწოდეს საჭირო ტექნიკა და მოწყობილობა, გამოცდილმა სპეციალისტებმა საქმე შეასწავლეს მომსახურე პერსონალს. გავა სულ ცოტა დრო — და ცისფერი ეკრანები აციმციმდება რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში. ათასობით ლაოსელი გაიგონებს ეროვნული ტელევიზიის დიქტორის ხმას.

# მნიშვნელოვანი გამოკვლევა

ამ რამდენიმე ხნის წინათ მკითხველმა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ელეფუჯა ხინთიბიძის წიგნი „ათონის ქართული ლიტერატურული სკოლა“.

სარწმუნო კავშირის მასშტაბით, უცხოელ მეცნიერთა თანამოღვაწეობით, დიდი ზეიმით აღინიშნა ათონში ქართული კულტურის კერის დაარსების ათასი წლისთავი. ადრეულ საუკუნეებში ჩვენი ეკლესია-მონასტრები ერთდროულად წარმოადგენდა უნივერსიტეტსა და აკადემიას. უნივერსიტეტსო, ვამბობთ იმიტომ, რომ სწორედ იქ წარმოებდა ახალგაზრდების აღზრდა, იქ ითვისებდა ახალგაზრდობა წერა-კითხვას და ეუფლებოდა მეცნიერებას, მწერლობასა და ხელოვნებას. იქ ყალიბდებოდნენ მომავალი მწერლები, ხეროთმოძღვრები, კომპოზიტორები, მხატვრები და მეცნიერები. ეკლესია-მონასტრები იყო სწავლა-განათლების ერთადერთი ცენტრი ფეოდალურ საქართველოში. იქ აღიზარდნენ ყველა ისინი, ვინც შეენია ჩვენი ეროვნული კულტურა და ვისითაც ვამაყობთ ჩვენ; ხოლო აკადემიაო, ვამბობთ იმიტომ, რომ მეცნიერული მოღვაწეობის ერთადერთი ცენტრიც სწორედ ეკლესია-მონასტრები იყო. აქ წარმოებდა უაღრესად ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა: იწერებოდა მეცნიერული ტრაქტატები, იქმნებოდა პოეზია და ეროზის შედევრები.

ათონის მთაზე აგებულმა ქართულმა მონასტრებმა და გაშლილმა ფართო მასშტაბის კულტურულ-განმანათლებლურმა მოღვაწეობამ განუზომლად დიდი როლი ითამაშა ჩვენი ერის ცივილიზაციის განვითარებაში. იქ მოღვაწე ქართველ მეცნიერთა ბოდა, არამედ ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობის შედეგად იქმნებოდა ქართული ორიგინალური ძეგლები, თავისთავად დიდი ფასეულობისა. ამასთანავე თვით ქართულიდან ბერძნულად ითარგმნებოდა ესა თუ ის ძეგლი. ასე რომ, ათონის სკოლა იყო კულტურის ის ცენტრი, სადაც ინტენსიური თანაარსებობით ურთიერთს ერწყმოდა ქართული და ბიზანტიური კულტურა. ეროვნული დიდი პოტენციის შედეგად ათონელ მოღვაწეებს შშობლიური კულტურა გაქონდათ მსოფლიო ასპარეზზე და მათ უცხოური და მშობლიური მწერლობის ურთიერთგამდიდრების დიდი მისია იდვეს თავს.

ქართველ სწავლულთა მოღვაწეობის სწორედ ეს მხარე წარმოადგენს ე. ხინთიბიძის კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიზანს და იგი უდავო წარმატებასაც აღწევს.

ამ პრობლემის ქვაკუთხედია „ვარლაამისა და იოდასაფის ცხოვრების“ რედაქციათა ურთიერთმართების გარკვევა. ამ პრობლემის გარკვევას როგორც ჩვენში, ისე უცხოეთშიც ბევრი დიდი მეცნიერის შრომა ეძღვნა. ე. ხინთიბიძის გამოკვლევაში დეტალურადაა განხილული თითოეული მეცნიერის ნაშრომი, მათ მიერ წამოყენებული ყველა დებულება და სათანადო არგუმენტები. ყოველივე ამის შემდეგ მკვლევარი საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს, „ვარლაამისა და იოდასაფის ცხოვრების“ — არსებული რედაქციების დეტალური შესწავლის საფუძველზე გვაწვდის ახალსა და უდავოდ ანგარიშგასაწევ მოსაზრებებს, რითაც კიდევ უფრო განამტკიცებს დებულებას, რომ ვარლაამ და იოდასაფის ბერძნული ვერსიის ავტორი ქართველი მწერალი და მეცნიერი ექვთიმე ათონელია. ამ ძირითადი და კარდინალური დებულების სფეროში ჩამოყალიბებული და განვითარებული აქვს ცალკეული, კონკრეტული დაკვირვებები, რომელნიც ტექსტუალური ანალიზის ფართო სურათს წარმოგვიჩენენ.

რადგან წიგნის რუსულად გამოცემა მიზნად ისახავს, რომ არაქართველ მკითხველს გააცნოს ქართული კულტურის კერის ისტორია და ღირსება, ამ მიზნით, ესე იგი მდიდარი ქრისტიანული სამწერლო ტრადიციების წარმოსაჩენად, ურიგო არ იქნებოდა შესავალ ნაწილში მცირე ადგილი დაეთმო კაპადოკიელი მწერლების ეთნიკური წარმომავლობის საკითხებისათვის, მით უფრო, რომ სხვა მეცნიერებთან ერთად ე. ხინთიბიძეს ბევრი აქვს ნამუშევარი ამ სფეროში და მისი დასკვნები ყურადსაღებია.

ელეფუჯა ხინთიბიძის წიგნში გამოკვლეულია ათონის კერის სწავლულთა ლიტერატურული მოღვაწეობა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ათონის კერა მხოლოდ ლიტერატურული სკოლა არ იყო, აქ გაშლილი იყო ფართო მასშტაბის საქმიანობა ფილოსოფიისა და მეცნიერების სხვადასხვა სფეროში. ამიტომ, ალბათ, აჯობებდა წიგნს სათაურად ჰქონოდა არა ლიტერატურული სკოლა, არამედ „ათონის ქართული კულტურის კერა“. ვფიქრობთ, ეს სათაური უფრო მასშტაბურად წარმოადგენდა კულტურის ამ დიდ ცენტრს.

როგორც აღვნიშნეთ, არაქართველ მკითხველთათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით ნაშრომი დაწერილია რუსულ ენაზე. ეს გასაგებია, მაგრამ ყველა ერის მეცნიერი და მწერალი უპირველესად თავის თანამემამულეთათვის წერს, რათა ხელი შეუწყოს ეროვნულ ენაზე ცნებების, ტერმინების და, საერთოდ, მეცნიერული აზროვნების სტილის განვითარებას. ამიტომ სასურველი იყო ნაშრომი დაწერილიყო შშობლიურ ენაზე და დართვოდა ვრცელი რეზიუმე — რუსულად. აუცილებელი იყო აგრეთვე მისი უფრო დიდი ტირაჟით გამოცემა.

ყოველი შენიშვნა მხოლოდ სურვილია, ხოლო თვით წიგნი კი წარმოადგენს სერიოზულ გამოკვლევას, რომელიც ავსებს და ამდიდრებს აღნიშნული პრობლემების გარშემო არსებულ ცოდნას.

**რ. ბარამიძე,**
**პროფესორი.**

# საჩუქრად თბილისის უნივერსიტეტს

**თბილისი** სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ახალი უნიკალური ექსპონატით შეივსო. ეს არის რომენ როლანის „ომის წლების დღიური“ ჟირაველი და ჯერჯერობით ერთადერთი გამოცემა, რომელიც სპეციალურად ბიბლიოფილებისათვის არის მომზადებული. წიგნის ექვსი ტომი, რომელსაც „1914 წლის ომის სულიერ ისტორიას“ უწოდებენ, უნივერსიტეტს საჩუქრად გამოუგზავნა შესანიშნავი მწერლისა და მუსიკოსის ქვრივმა — მარი კუდაშევა-როლანმა.

30 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს აკადემიკოს ვ. ოკუჯავას საჩუქარი გადასცა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. ვაჩნაძემ. მან თქვა:

— საფრანგეთს, რუსეთსა და საქართველოს შორის მუსიკალური კავშირურთიერთობის ისტორიაზე მუშაობამ მიმდინარე წლის გაზაფხულზე პარაზში ჩამიყვანა. დარბაზობაზე საბჭოთა საელჩოში გავიცანი მარი როლანი. ხანდაზმულობის მიუხედავად (მარი როლანი 88 წლისაა) იგი მეუღლის არქივის მთავარი მცველია და დიდ მუშაობას ეწევა: ახორციელებს მწერლის უდიდესი მემკვიდრეობის სისტემატიზაციას, რედაქტორობს მის წიგნებს, უშვებს სპეციალურ ბიულეტენებს. როცა ჩემი მუშაობის თემა შეიტყო, მან თავაზიანად შემომთავაზა გამომეყენებინა არქივი, სადაც რამდენიმე თვე ვიმუშავე.

ჩემი გამომგზავრების წინ მარი როლანმა მოისურვა საჩუქარი გამოეგზავნა საქართველოში, რომლის დიდი თაყვანისმცემელი იყო რომენ როლანი. „ომის წლების დღიური“ საოცრად მკაფიო დოკუმენტური პროზაა, სადაც განსაკუთრებით ნათლად იჩინა თავი რომენ როლანის პუბლიცისტურმა ნიჭმა. ამ წიგნში როლანი მკითხველს უამბობს შვეიცარიაში თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, საც დაც მას ომმა მოუსწრო. იქ, ნეიტრალურ ქვეყანაში ყოფნისას, მას კვლავირი ჰქონდა მთელ მსოფლიოსთან და აქტიურად „უწეოდა ომს ომის წინააღმდეგ“.

დღიურის ბეჭი ფფრცელი ეძღვნება სტრავინსკისთან ახლოთა გაზიარებას, ეხება მუსიკის საკითხს.

ამჟამად საბჭოთა გამომცემლობა „პროგრესი“ რუსულ ენაზე გამოსაცემად ამზადებს „დღიურის“ ნაწყვეტებს. (საქინფორმი).

„ინტერპრეს-ფოტოს“ ტრადიციულ კონკურსზე

# ფოტოგრაფია მშვიდობისათვის ბრძოლაში

**დამასკო.** სირიის დედაქალაქში გახსნილია იმ ნამუშევრების გამოფენა, რომლებიც წარმოდგენილია ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მოწყობილ ტრადიციულ კონკურსზე — „ინტერპრეს-ფოტო“. მასში მონაწილეობს 500-მდე ფოტორეპორტიორი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

* * *

**სურათებზე:** „ავღანელი“ (ლეონიდ იაკუტინი, სსრ კავშირი). ოქროს მედალი საუკეთესო პორტრეტისათვის.
ერთ-ერთი სურათი სერიიდან „არჩევნების დღე სალვადორში“ (ჯეიმს ბ. დიკმანი, აშშ). ოქროს შედალი საუკეთესო ფოტოსერიისათვის.

**ადნ-საკდესის** ფოტო.

# დიალოგი უნდა განახლდეს

## ამერიკელი სენატორის მოთხოვნა

**ვაშინგტონი. „განახლდეს დიალოგი“ — ასეთი სათაურით ცნობილმა ამერიკელმა სენატორმა ჩ. მეტაიესმა გამოაქვეყნა გაზეთ „ბალტიმორ სანში“ სტატია, რომელშიც მოითხოვა, რომ რეიგანის ადმინისტრაციამ განახორციელოს სახწრაფო ღონისძიებანი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.**

„საარსებოდ საჭიროა აღდგეს ნორმალური ურთიერთობა შეერთებული შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის. ეს შეესაბამება როგორც თვით ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს ეროვნულ ინტერესებს, ისე მთელი მსოფლიოს ინტერესებსაც“, — ხაზგასმით აღნიშნავს იგი. სენატორი მოუწოდებს განამტკიცონ ურთიერთგაგება ორი ქვეყნის ხალხებს შორის და აღნიშნავს: „შორსმჭვრეტელი პოლიტიკური მოღვაწენი უკვე ახლა არ ფარავენ თავიანთ შეშფოთებას საბჭოთა კავშირთან ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში დაძაბულობის გამო, რომელიც სულ უფრო ძლიერდება. შეერთებულმა შტატებმა ბოლოს და ბოლოს უნდა დაუსვას თავის თავს კითხვა, თუ რა ღონისძიებების განხორციელება შეუძლია იმისათვის, რომ შეანელოს მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანის შიში. ჩვენ პასუხს უნდა ვაგებდეთ ჩვენი მოქმედებისათვის, რადგან ჩვენს შესახებ სწორედ ამ მოქმედების მიხედვით მსჯელობენ“.

სტატიის ავტორი წერს, რომ საჭიროა სიტუაციის შემდგომი გაუარესების თავიდან აცილება, ამასთან დაკავშირებით იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახლა ყველაზე დიდ მნიშვნელობას იძენს ორივე სახელმწიფოს ერთობლივი მეცადინეობა გამალებული შეიარაღების შეკავების საქმეში. დასასრულ სენატორი აღნიშნავს, რომ ახლანდელმა ადმინისტრაციამ უნდა შეიცვალოს ტონი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში, რომელსაც ახლა აშკარა უხეშობა ახასიათებს.

● აშშ

## უხეში პროვოკაცია

**ნიუ-იორკი.** უხეში პროვოკაცია მოაწყვეს ამერიკის ხელისუფლებმა ნიკარაგუის კულტურის მინისტრის ერნესტო კარდენალის მიმართ, რომელიც შეერთებული შტატების მეთა, ოფიციალურ ბრძანებულებაზე ჩამოვიდა. ეს ბრძანებულება ეკრძალებოდა ამ ქვეყნის ბინადრებს ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ფეხის დადგმა. ამ ბრძანებულებაზე ხელს ეფარებოდა ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე

# რუსთაველის თეატრი, როგორი იქნება იგი?

**შეკითხვა:** ბევრს აინტერესებს, **თუ როდის დასრულდება თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის რეკონსტრუქცია, რა სახის სამუშაოები მიმდინარეობს ამჟამად და რა სიახლეს გვპირდებიან მშენებლები?**

ასეთი შეკითხვა მივიღეთ „კომუნისტის“ მკითხველებისაგან. გადავწყვიტეთ, ადგილზე გავცნობოდით თეატრის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს და პასუხი გაგვეცა დაინტერესებულ პირთათვის.

რუსთაველის პროსპექტზე თეატრთან რომ გაივლით, ვერც კი წარმოიდგენთ, თუ ამ დიდებულ შენობაში ასეთი მნიშვნელოვანი სამუშაოები მიმდინარეობს.

შეხვალთ შიგ და მაყურებელთა დარბაზი მთლიანად ხარაჩოებშია, ზედა და ქვედა ფოიეებში ისმის მანქანების გუგუნი, თეატრის სვეტები, კამარები ახლად არის შეღებილი. ზოგან იატაკს აგებენ, გაჰყავთ ელექტროგაყვანილობა...

აი, თეატრის ქვედა ფოიე, სადაც ოციან წლებში ცნობილი კაფე „ქიმერიონი“ — ცისფერყანწელთა თავშეყრის ადგილი ყოფილა. მისი სვეტები, კამარები თავის დროზე მოუხატავთ ლადო გუდიაშვილს, დავით კაკაბაძეს, სერგი სუდეიკინს, მოსე თოიძეს, სიგიზმუნდ ვალშევსკის.

სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებით ძველთა დაცვის სამმართველოს სარესტავრაციო სახელოსნომ ნაწილობრივ აღდგენა ჩვენი ცნობილი მხატვრების ნახატები. ახლა ბევრი მათგანი ფანერებით არის დაცული, რათა მშენებლებმა ისინი არ დაზიანონ. ფოიეში უკვე დაგებულია ლამაზი, წითელი და შავი გრანიტისა. თეთრი მარმარილოს იატაკი. გაფართოვდა და გაუმჯობესდა ქვედა ფოიედან ამოსასვლელები, მშენებლებს აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი.

თეატრში შევხვდით საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილეს ვლადიმერ იაკაშვილს, რომელიც უშუალოდ კურირებას უწევს მიმდინარე სამუშაოებს.

— ძირითადად რამ განაპირობა თეატრის რეკონსტრუქცია? — ვკითხეთ მას.

— მოგეხსენებათ, შენობა 1898-1901 წლებში აიგო არქიტექტორების ტატიშჩევისა და შიმკევიჩის პროექტით. 1949 წელს ხანძრის შემდეგ თეატრის შენობა აღადგინეს, მაგრამ დროთა განმავლობაში იმის გამო, რომ გამდინარე მიწისქვეშა წყლები ყოფილა, კედლებმა თანდათანობით „დაჯდომა“ იწყეს, ბევრგან კედლები დასკდა კიდეც.

ფოიეში ფოტოსურათებიც გვიჩვენეს, რომლებზეც თეატრის კედლების ადრინდელი მდგომარეობაა აღბეჭდილი. ამისათვის მშენებლები პირველ რიგში საძირკვლების და თაღების გამაგრებას შეუდგნენ. შესრულდა სანტექნიკისა და სავენტილაციო სამუშაოები, გამოიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები, მოისპო წყლის გაჟონვა.

ვათვალიერებთ თეატრის ზედა ფოიეს, დირექციის ოთახებს, თუმცა მშენებლებს თავიანთი კვალი ყველგან დაუტყვიათ, ჩვენს სახელოვან მსახიობთა პორტრეტებს მაინც ვხედავთ, რაც თავისებურ განწყობას გვიქმნის.

გავიცანით თეატრის სარემონტო სამუშაოების ხელმძღვანელი — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარი ინჟინერი დემნა ქარსელაძე. მან დაგვისახელა ის ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობენ თეატრის სარეკონსტრუქციო სამუშაოებში. ესენია: კულტურის სამინისტროს თეატრალურ-სამონტაჟო და სამშენებლო-სარემონტო სამმართველო, ინტურისტსპეცრემმშენის ტრესტის სამმართველო, თეატრალური ინსტიტუტის სცენის ტექნოლოგიისა და ტექნიკის ეკსპერიმენტული ლაბორატორია და სხვა ორგანიზაციები.

საუბარში გამოირკვა, რომ თეატრის რეკონსტრუქცია კიდევ იმ ფაქტორმა განსაზღვრა, რომ მოძველებული იყო სასცენო ტექნოლოგია, დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ დამხმარე მეურნეობანი. სცენას არ ჰქონდა ეგრეთ წოდებული „ჯიბეები“, რაც ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე თეატრალურ მოთხოვნებს. გადაწყდა, ძველაძის ქუჩიდან დამხმარე კორპუსის მიშენება, რომელიც თეატრის ტექნოლოგიას გაუმჯობესებს.

თეატრის რეკონსტრუქციისა და მიშენების პროექტი შექმნეს საქართველოს კულტურის სამინისტროს საპროექტო კანტორის კულტპროექტში ავტორთა ჯგუფმა (ხელმძღვანელი — არქიტექტორი ოთარ ნახუცრიშვილი, არქიტექტორები — ვაჟა ორბელაძე, თამაზ შაშიაშვილი).

პროექტის ავტორებმა არსებული ისტორიული ნაგებობის ყოველმხრივი შესწავლით მიზნად დაისახეს თანამედროვე თეატრალური ტექნიკის გაუმჯობესებასთან ერთად, შენობის სტილისტიკური ერთიანობის შენარჩუნება და აღდგენა.

ამასთანავე, იმის გამო, რომ ძველაძის ქუჩიდან თეატრის მიმაშენების არქიტექტურულ სახეს წინით სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, ამჟამად ქუჩის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ახალმა კორპუსმა ეს მდგომარეობა უნდა გამოასწოროს, მისი ფასადი მთელი განაშენიანების ტონის მომცემი უნდა იყოს და უპასუხებდეს თანამედროვე ქალაქშენებლობის მოთხოვნებს.

რეკონსტრუქციისას შესაძლებელი გახდა მთელი რიგი გამოუყენებელი ფართობის ათვისება. ასე გაფართოვდება გარდერობი. მაყურებელთა ბუფეტს დაეთმობა ახალი, უფრო მოსახერხებელი ადგილი.

ზედა ფოიეში მთავრდება სვეტების შელესვა, რომლებიც შემდგომ შეიმკობა ოქროთი მოვარაყებული ორნამენტებით, კამარების ცენტრში დაკიდებენ მხატვრულ ჭაღებს, ისევე როგორც ქვედა ფოიეში, დიაგანა წითელი და შავი გრანიტის, თეთრი მარმარილოს იატაკი.

მაყურებელთა მცირე და დიდ დარბაზში დაიდგმება ახალი სავარძლები და სკამები, შეიცვლება ეგრეთ წოდებული „ჯიბეები“, რაც ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე თეატრალურ მოთხოვნებს. გადაწყდა, ძველაძის ქუჩიდან დამხმარე კორპუსის მიშენება, რომელიც თეატრის ტექნოლოგიას გაუმჯობესებს.





ბელი მასალები ჯერ კიდევ არა გვაქვს მთლიანად მიღებული. კერძოდ, არ მიგვიღია კიბეების სეფეხურებისათვის საჭირო მარმარილო, გეგმის მიხედვით კი ქვეყანა ფოიეების მოპირკეთება წლის ბოლომდე უნდა დავასრულოთ.

საქართველოს სსრ სამშენებლო სამინისტროს მესამე ტრესტს დავალებული აქვს დაიწყოს ძველაძის ქუჩიდან თეატრზე მისაშენებელი კორპუსის აგება, მაგრამ იმის გამო, რომ მცხოვრებლები ჯერ კიდევ არ ჩნდა, ეს კი ხელს გვიშლის სამუშაოების დროულ დაწყებაში.

მართალია, საშენ მასალათა სამინისტრო ყურადღებას იჩენს თეატრის აღდგენითი სამუშაოებისადმი, მაგრამ მოსაპირკეთებელი მასალა ჯერ კიდევ არ ყოფილა მთლიანად მიღებული. კერძოდ, არ მიგვიღია კიბეების სეფეხურებისათვის საჭირო მარმარილო, გეგმის მიხედვით კი ქვეყანა ფოიეების მოპირკეთება წლის ბოლომდე უნდა დავასრულოთ.

ცალკე მოეწყობა სტუმრებისათვის გათვალისწინებული ავტოსადგომი.

როგორც მშენებლები ფიქრობენ, მთლიანად თეატრის რეკონსტრუქციის სამუშაოები მომავალი წლის ბოლოსათვის უნდა დასრულდეს, რათა ჩვენს საყვარელ შემოქმედებითს კოლექტივს კვლავ თავის შენობაში მოუხდეს მოღვაწეობა და ახალი სპექტაკლებით გაახაროს მაყურებელი.

**ლარისა ხუბულური.**

**სურათებზე:** ასე გამოიყურება **რუსთაველის თეატრის ახალი კორპუსის პროექტი (ძველაძის ქუჩიდან); განახლებული თეატრის ფოიე.**

# როცა მსოფლიო ჩემპიონი თბილისში დაბრუნდა

**ის, რომ მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძეს მრავალ ქვეყანაში ეპატიეუებიან, ბუნებრივია. ისიც ბუნებრივია, რომ ჩვენს სახელოვან მოჭადრაკეს ამ მიწვევების მხოლოდ მცირე ნაწილის დაკმაყოფილება უხერხდება. მაია უწინდებურად „ორ ფრონტზე“ იბრძვის — ქალებსაც ეთამაშება და ვაჟებსაც. სწორედ ასეთი იყო მისი ხანგრძლივი ტურნე ოქტომბერ-ნოემბერში იუგოსლავიაში, მსოფლიო ჩემპიონმა ჯერ სმედერევსკა-პალანკაში, ქალთა საერთაშორისო ტურნირში ითამაშა, შემდეგ კი პრიშტინაში, ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში.**

**სწორედ ამ შეჯიბრებათა შესახებ ესაუბრა მსოფლიო ჩემპიონს ჩვენი საჭადრაკო მიმომხილველი**

**გ. გამრეკელი.**

— გაგვაცანით, თუ შეიძლება, **სმედერევსკა-პალანკას ტურნირის შემადგენლობა.**

— 12 მონაწილეს შორის 5 დიდოსტატი იყო. მე და მოსკოველი ფატალიბეკოვი, ერენსკა (პოლონეთი), ვერეეცი-პეტრონიჩი (უნგრეთი), პოლიქრონიადე (რუმინეთი), რუმინეთის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე, საერთაშორისო ოსტატი ნუცუ, აგრეთვე წამყვანი საერთაშორისო ოსტატები და ოსტატები იუგოსლავიიდან. ეს მეექვსე ტრადიციული ტურნირი იყო, რომელსაც საწარმოო გაერთიანება „გოშა“ აწყობს.

— **როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა?**

— შეჯიბრება, ცოტა არ იყოს, მძიმედ დავიწყე, თუმცა მესამე ტურში მოვუგე ერთ-ერთ მთავარ კონკურენტს ეროვნის. იმის გამო, რომ მეხუთე ტურში ახალგაზრდა იუგოსლავ ოსტატ მაქსიმოვიჩთან დავმარცხდი, მომდევნო პარტიებში მხოლოდ და მხოლოდ მოსაგებად ვთამაშობდი. თანდათან გავასწორი ერენსკას, პოლიქრონიადეს და ვერეცის, რომლებიც გარკვეულ მომენტამდე ესევე აცხადებდნენ პრეტენზიას პირველ პირობაზე. უკანასკნელ ტურში ყაიმიც მყოფნდა ტურნირში გასამარჯვებლად, ამიტომ პოლიქრონიადესთან დადი ბრძოლა არა მქონია. 11 შესაძლებლიდან მოვაგროვე 8,5 ქულა. მეორე იყო ამ შეჯიბრებში ენერგიულად მოთამაშე ერენსკა (8 ქულა). ვერეცი 6,5 ქულით მესამე ადგილზე გამოვიდა, 6-6 ქულა მოაგროვეს ფატალიბეკოვამ და იუგოსლავმა საერთაშორისო ოსტატმა პეტროვიჩმა.

— **შემდეგ შეუხვენებლად ჩაებით ვაჟთა ტურნირში?**

— გვქონდა ერთგვარი 3-4-დღიანი შესვენება. გავემგზავრეთ პრიშტინაში, კოსოვოს ოლქში, რომელიც ალბანელებით არის დასახლებული. იუგოსლავია, როგორც მოგეხსენებათ, არაერთ ტრადიციულ ტურნირს მართავს. ასეთი, რიცხვით მეთერთმეტე ტურნირი მოგწყო სწორედ პრიშტინაში. ბრძოლაში ჩაებნენ ჩემი მწვრთნელი, დიდოსტატი გუფელდი, საერთაშორისო ოსტატები ჩერნა (უნგრეთი), კელეჩევიჩი, ჩეტკოვიჩი, არაპოვიჩი (სამივე იუგოსლავიიდან), პოლონელი, ბერძენი და იუგოსლავი ოსტატები. სულ 14 მონაწილე იყო. მთელი ტურნირის მანძილზე ლიდერთა შორის ვიყავი, საბოლოოდ კი 8 ქულით მეხუთე ადგილზე გამოვედი. 1-2 ადგილები 9-9 ქულით გაიყვეს ჩერნამ და იქაურმა ოსტატმა სადიკუმ, 8,5 ქულით დაამთავრეს შეჯიბრება გუფელდმა და არაპოვიჩმა.

მაიას საკმაოდ ძუნწ მონათხრობს უნდა დავსძინოთ, რომ მის გამოსვლებს მაღალი შეფასება მისცეს იუგოსლავიის გაზეთებმა „სპორტმა“ (ბელგრადი) და „სპორტსკე ნოვოსტიმ“ (ზაგრები), აგრეთვე ბელგრადის „პოლიტიკამ“, რომელიც ტრადიციულად დიდ ყურადღებას უმობს ჭადრაკს. მიმომხილველებს განსაკუთრებით მოეწონათ მისი პარტია ტურნირში გამარჯვებულ ჩერნასთან, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონმა ჯერ ორი მსუბუქი ფიგურა შესწირა, შემდეგ — ეტლი. ამის შემდეგ ჩიბურდანიძემ სამი გამსვლელი პაიკი აამძრავა და უნგრელი ძლივს გადაურჩა წაგებას. ეს პარტია რომ მოეგო, მაია, უნდა ვიფიქროთ, თვით იბრძოლებდა პირველი პრიზის მოსაპოვებლად. პარტია, რომელსაც დაძაბული ჰყავდა მრავალრიცხოვანი მაყურებელი, მერვე ტურში გაიმართა.

— **თითქმის შეუსვენებლად 24 პარტიის თამაში მეტად ძნელია. უნდა ვიფიქროთ, რომ უახლოეს ხანებში თქვენ არსად არ ითამაშებთ?**

— დიახ, ასე ვფიქრობ.

— **ამჟამად ჭადრაკის სამყაროდიდი ინტერესით აღიარებს თვალს პრეტენდენტთა ბრძოლას.**

— ამ ბრძოლას იუგოსლავიის გაზეთები ფართოდ ამუქმებდნენ და მეც, შეძლებისდაგვარად მოვლენებს კურსში გახლდით. პრეტენდენტ ქალთა ფინალური მატჩი გაზაფხულზე გამოვლენს ჩემს მეტოქეს. ასე რომ, გაისად ჩემი საჭადრაკო „დატვირთვა“ კიდევ უფრო გაიზრდება. ჩვეულებრივ კალენდარს ემატება ორი უმნიშვნელოვანესი ასპარეზობა: საერთაშორისო ოლიმპიადა სალონიკში (საბერძნეთი) და, რაც მთავარია, მატჩი მსოფლიო პირველობაზე.

— **ხომ არ შეგიძლიათ გვითხრათ, როგორი იქნება ჩვენი გუნდის შემადგენლობა სალონიკის ოლიმპიადაზე?**

— საბოლოო შემადგენლობაზე ახლა ძნელია ლაპარაკი, სანამ პრეტენდენტთა მატჩები და ქალთა საკავშირო ჩემპიონატი არ დამთავრდება.

**ამით ვეთხოვებით მსოფლიო ჩემპიონს. ჩვენც დაველოდებით ამ შეჯიბრებების დამთავრებას, ძვირფასო მკითხველებო!**

## საუბარი მ. ჩიბურდანიძესთან

## მაკათა მაგალითი—ზვილებს

**ფრიდ** დიდი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორ ბორის კუფტინის დამსახურება ქართული და, საერთოდ, კავკასიური არქეოლოგიის წინაშე. მან სრულიად ახლებურად გააშუქა და გააზარა ჩვენი ძველი ისტორიის ბევრი ძირეული საკითხი. საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლამდე ბ. კუფტინი უფრო მეტად ცნობილი იყო, როგორც ეთნოგრაფი. მაგრამ შემდგომ მისი მეცნიერული ინტერესები კარდინალურად იცვლება. ამიერიდან იგი ძირითადად შეისწავლის ქართულ და, საერთოდ, კავკასიის უძველეს კულტურას და ამ დარგის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი ხდება. მისმა ფუნდამენტურმა ნაშრომებმა ახლებური საფუძველი დაუდო და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ქართული კულტურის კვლევის საქმე.

ბორის ალექსანდრეს ძე კუფტინი დაიბადა 1892 წლის იანვარში, ქ. სამარაში. 1909 წელს მან დაასრულა ქ. ორენბურგის რეალური სასწავლებელი და იმავე წელს შედის მოსკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1910-12 წლებში სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო მას რიცხავენ უნივერსიტეტიდან. იგი მიემგზავრება ემიგრაციაში საფრანგეთში, შეეიცარიასა და იტალიაში. ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ სწავლას განაგრძობს მოსკოვის უნივერსიტეტში, რომელსაც ამთავრებს 1914 წელს ბოტანიკის სპეციალობით და ასისტენტად იწყებს მუშაობას ბოტანიკის კათედრაზე. 1916-17 წლებში ბ. კუფტინი დამატებითს გამოცდებს აბარებს მოსკოვის უნივერსიტეტში, ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის და გეოგრაფიის განხრით. შემდეგ მას დატოვებენ პროფესორ დ. ანუჩინთან „სპეციალურად მოსამზადებლად“. 1918-19 წლებში ბ. კუფტინს იარჩევენ ასისტენტად ანთროპოლოგიისა და გეოგრაფიის კათედრაზე. იგი მოღვაწეობს მოსკოვის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის ინსტიტუტში, ხელმძღვანელობს განყოფილებას — შუა აზიის და ციმბირის ხალხთმცოდნეობის ცენტრალურ მუზეუმში. გარდა ამისა, მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის ეთნოგრაფიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. 1919 წელს იგი მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტია. 1928 წელს მას ირჩევენ პროფესორის თანამდებობაზე ხალხთმცოდნეობის განხრით.

ნაშრომთა ციკლისათვის 1927 წელს მას მიენიჭა გეოგრაფთა საკავშირო საზოგადოების ოქროს მედალი.

1933 წლის დეკემბერში იგი მეცნიერ-კონსულტანტად იწყებს მუშაობას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში. მას საქართველოში სამუშაოდ იწვევს პროფესორი გ. ნიორაძე.

საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ ბორის კუფტინის საქმიანობა მთლიანად ქართულ არქეოლოგიას უკავშირდება. უკვე 1934 წლის შემოდგომაზე იგი მონაწილეობს აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში, რომელსაც სათავეში აკადემიკოსი მეშჩანინოვი ედგა. იგი იკვლევს ბრინჯაოს ხანის ძეგლებს, კერძოდ, დოლმენებს, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მრავალწლიანი სამუშაოები თრიალეთში, სადაც ხრამჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით წყლით უნდა დაფარულიყო წალკის პლატოს მნიშვნელოვანი ნაწილი.

ბ. კუფტინმა თრიალეთში თავიდანვე ფართო საველე სამუშაოები გაშალა. 1936-40 წლებში შეისწავლა ბარმაქსისის ქვის ხანის სადგომიდან ადრე საშუალო საუკუნეების სამაროვნებამდე სხვადასხვა ხასიათისა და დროის ძეგლები. მიღწეული მუშაობის შეჯამებად გამოვლინდა მეტად საყურადღებო ძეგლები, რომლებმაც სრულიად ახლებურად გააშუქა უძველესი ქართული კულტურის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ თრიალეთის მასალების საფუძველზე გამოყოფილი მანამდე უცნობი, გვიანბრინჯაოს ხანაზე უწინარესი კულტურები — მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის. მოსალოდნელი იყო, რომ ბ. კუფტინი, წესისამებრ, ჯერ თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალების ანგარიშს გამოაქვეყნებდა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიქმნებოდა შემაჯამებელი ხასიათის ნაშრომი. მაგრამ პირიქით მოხდა. უკვე 1941 წელს, გათხრების დაწყებიდან ხუთი წლის თავზე, ჯერ ალბათ მასალაც კი წესრიგში მოყვანილი არ იქნებოდა, ბორის კუფტინი აქვეყნებს თავის შესანიშნავ ნაშრომს „არქეოლოგიური ვათხრები თრიალეთში, ძეგლების პეროიოდიზაციის ცდა, ტ-1“, რომელსაც იგი ივანე ჯავახიშვილის ნათელ ხსოვნას უძღვნის. ამ ნაშრომმა, პირველად საბჭოთა არქეოლოგიაში, 1942 წლის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

ამიერიდან საქართველოს და კავკასიის უძველესი ისტორიის შესწავლის ახალი ეტაპი იწყება. ბ. კუფტინმა შეისწავლა შესანიშნავი ყორღანული სამარხები, რომელთა ინვენტარიც საგრძნობლად განსხვავდებოდა მანამდე ცნობილ სამარხეული კომპლექსებისაგან. მან ყორღანების ერთი დიდი ჯგუფი მდიდარი, შესანიშნავი სამარხეული ნივთებით შუაბრინჯაოს ხანას მიაკუთვნა, წინაანაზიური მასალების მოშველიების საფუძველზე ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით დაათარიღა და თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“ უწოდა. მეორე ჯგუფი ყორღანებისა, შედარებით ღარიბი ინვენტარით, მან აღრებრინჯაოს ხანას — ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს მიაკუთვნა. ყორღანული კულტურა თავისი ფესვებით ადგილობრივ ენეოლითურ კულტურას უკავშირდებოდა.

1944 წელს ბ. კუფტინი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. ამავე წელს, დისერტაციის დაუცველად მას ანიჭებენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს. 1946 წლიდან იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია.

თრიალეთში მოპოვებული მასალებისა და მუზეუმის ფონდებში დაცული კოლექციების საფუძველზე ბ. კუფტინმა სამხრეთ კავკასიაში პირველად გამოყო თავისებური კულტურა, რომელიც გასაოცარ ერთგვაროვნებას ამჟღავნებს თავისი გავრცელების ფართო ტერიტორიაზე. მან ეს კულტურა ენეოლითის ხანას მიაკუთვნა და დაათარიღა ძვ. წ. III ათასწლეულით. შემდეგში ბ. კუფტინი სპეციალურ ნაშრომს უძღვნის ამ ბრწყინვალე კულტურას და მისი გავრცელების ძირითადი რაიონის ანალიზი ასრულებს.

1945 წელს ბ. კუფტინი ახოგზაურ ეტაპზე ადგენს ამ ტერიტორიაზე ადრეანტიკური ხანის ტომების ეთნიკურ ვინაობას. ეს ეტაპი ასრულებს ბ. კუფტინის ადრეულ ნაშრომებს,